## ს ი ა „ა“

სომალის რესპუბლიკიდან სსრ კავშირში სავაჭრო საქონლისა

### 1. სასოფლო-სამეურნეო საქონელი

საფეიქრო ბოჭკო (ბამბა, მატყლის ხე, რამი, ბანანი და სხვა)  
ზეთოვანი მცენარეების თესლი (კუნუუტი, არაქისი, აბუსალთინი, ბამბა)  
ფისი (ბალზამი, ზმირინი, გუმბარაბიკი და ა. შ.)  
ხილი (ბანანი, გრეიპფრუტი, მანგო)

### 2. ცხოველური წარმოშობის საქონელი

ხორცი და ხორცის პროდუქტები  
თევზი და თევზის პროდუქტები  
ტყავნდლეული და მოქნილი ტყავი, ჯიქის ტყავის გარდა  
მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ზეთი და ცხიმი  
სპილოს ძვალი  
დაუმუშავებელი ნიქარები  
ღრუბელი

### 3. მინერალური წარმოშობის საქონელი

მინქაფა  
ტყვია  
სხვა საქონელი

ბ. პ.  
(ბ. პაპოლიჩევი).

ბ. მ. მ.  
(აბდულა მოჯამუდ მოჯამედი).



ს ი ა „დ“

სსრ კავშირიდან სომალის რესპუბლიკაში საექსპორტო საქონლისა

მანქანები და მოწყობილობა

მათ შორის:

ლითონსაჭრელი დაზგები, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღი, საგზაო-სამშენებლო მოწყობილობა, ენერგოძალური და ელექტროტექნიკური მოწყობილობა, წყლის ტუმბოები, სამშენებლო, პოლიგრაფიული, საბურღი, სამთო-საშახტო მოწყობილობა, ხის დასამუშავებელი დაზგები, ოპტიკა, საათები, სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები.

შავი ლითონის ნაგლინი და მისი ნაწარმი

საკაბელო ნაწარმი

ცემენტი

ნავთობპროდუქტები

ფანჯრის მინა და კერამიკული ნაწარმი

ქალაღი, მუყაო და მათი ნაწარმი

ქიმიური სასუქები

ქიმიური საქონელი

მედიკამენტები და სამედიცინო მოწყობილობა

რეზინ-ტექნიკური ნაწარმი

ავტომობილის საბურები და კამერები

ბამბეულის ქსოვილები და სხვა საფეიქრო საქონელი

საგალანტერიო საქონელი

საკანცელარიო საქონელი

სასურსათო საქონელი (შაქარი, პურის ფქვილი, ბრინჯი, ახალი და დამარილებული თევზი, კონსერვები, კარაქი, ლიქიორისა და არყის ნაწარმი და სხვ.)

სარეცხისა და ხელის საპონი

ასანთი

თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი

ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი

კინოფილმები და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები

სხვა საქონელი

ნ. პ.  
(ნ. პატოლიჩივი).

ბ. მ. მ.  
(ბაბულა მოკაევიძე).

**112** ამხ. ნ. ი. სმირნოვის სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისა  
გან გათავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
გათავისუფლდეს ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე სმირნოვი სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 21 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**113** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 55-ე მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია 1962 წლის 10 აპრილს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 მარტი.

ბანუოფილება გიორგი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**114** მწერალ ი. ჰ. სემპერის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის მწერალი იოჰანეს ჰანსის ძე სემპერი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 21 მარტი.

**115** საქართველოს სსრ მისკუპულიკაში მცხოვრებ მრავალშვილიან დედაბინათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების

**შეხახვა**

მიენიჭეთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. მერიემ ხარუნის ასულ კობლაძეს — ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი.
2. მარგალიტა პეტროსის ასულ კულახსჯიანს — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი კარტიკაში.
3. ვერა თადეოზის ასულ კუხილავას — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, წალენჯიხის რაიონი.
4. ტატიანა ისიდორეს ასულ მებონიას — კოლხიდის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, წალენჯიხის რაიონი.
5. ხატიჯე ახმედის ასულ პაპუნძიძეს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელი მეჯინისწყალი.
6. ქრისტინე ბადალის ასულ რუზანოვას — დიასახლისს, მცხეთის რაიონის სოფელი ძიგელი ქანდა.
7. შახზენემ ჭერემის ასულ სურმანიძეს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელი ფაჩხა.
8. სრპუნ ოვანის ასულ ხაჩატრიანს — პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, ახალქალაქის რაიონი.
9. ნაური ბეგლარის ასულ შელიას — ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, წალენჯიხის რაიონი.
10. ეკატერინე ალექსის ასულ შეშაბერიძეს — კოლმეურნეს, ახალციხის რაიონის სოფელი ვარგავი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეშნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1962 წლის 21 მარტი.

**116** სერჟანტ ვ. ი. კურგუზოვის მეფლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ამხანაგის სიცოცხლის გადარჩენისას გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის სერჟანტი ვასილ ივანეს ძე კურგუზოვი დაჯილდოებულ იქნას მეფლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეშნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1962 წლის 23 მარტი.

**117** მწერალ გ. მ. მუსრეპოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის მწერალი გაბიტ მაჰმუდის ძე მუსრეპოვი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 მარტი.

**118** გენერალ-ლეიტენანტ კ. ვ. კრაინიუკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ვასილის ძე კრაინიუკოვი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 მარტი.

**119** ამხ. ი. ა. ბენედიქტოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ინდოეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ამხ. ი. ა. ბენედიქტოვის დაბადების სამოცი წლისთავის გამო და დიპლომატიურ პოსტზე მისი დამსახურების აღსანიშნავად, ამხ. ივანე ალექსანდრეს ძე ბენედიქტოვი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 მარტი.

**120** ამხ. პ. პ. სიგოვის „საბატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის უღმურტეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

თავმჯდომარე აშხ. პეტრე პეტრეს ძე სისოევი დაჯილდოებულ იქნას „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრკ-ის  
საგარეო  
კავშირების  
მდივანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი შ. ბიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 მარტი.

ბრძანებულაბა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა  
**121** მილიციის ზემდგომი ს. ნ. აკულოვის წითელი ვარსკვლავის  
ორდენით დაჯილდოების შესახებ

საშიშ დამნაშავეთა დაკავებისას გამოჩენილი მამაცობისა და გაძნედაობისათვის მილიციის ზემდგომი სერგი ნიკოლოზის ძე აკულოვი დაჯილდოებულ იქნას წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი შ. ბიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 მარტი.

ბრძანებულაბა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა  
**122** სსრ კავშირის მცენიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ  
ნ. ნ. ბარანსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ეკონომიურ-გეოგრაფიული მეცნიერების საკითხების თეორიული დამუშავების დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, აგრეთვე ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცი წლისთავის გამო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბარანსკის მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი შ. ბიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 მარტი.

**123** ამხ. ზ. ა. ლეხაძესას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო, აგრეთვე მრავალი წლის საზოგადოებრივი და შრომითი მოღვაწეობის გათვალისწინებით, ამხ. ზინაიდა ალექსანდრეს ასული ლეხაძევა დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**124** მწარალ ა. ი. ჩუბოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ოთხმოცი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად მწერალი კორნეი ივანეს ძე ჩუბოვსკი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**125** მწარალ ა. კ. იუგოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად მწერალი ალექსი კუზმას ძე იუგოვი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 მარტი.

**ბანუოფილება მისამე**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

ატომური მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, ახალ ნიმუშთა მძლავრი თერმოატომური იარაღის შემუშავებაში, სრულყოფასა და

გამოცდაში მიღწეული დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი სსრ-ბჭოს პრეზიდიუმმა „ნამგალი და უროს“ მესამე ოქროს მედლით დააჯილდოვა მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი — ორგზის სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა რაკეტული ჯარებისა და ავიაციის ოფიცერთა ჯგუფს, სოციალისტური შრომის გმირის წოდება 26 წამყვან კონსტრუქტორს, მეცნიერს, ინჟინერსა და მუშას, სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა რაკეტული ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 7 ათასზე მეტი მუშა, კონსტრუქტორი, მეცნიერი, ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე ლენინის ორდენით დააჯილდოვა მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები და ქარხნები.

**საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები**

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**126 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რწმუნებათა ვადის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1957 წლის 22 მარტს არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რწმუნებათა ვადა გაგრძელებულ იქნას საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოჩინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**127 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს შემჯინის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოჩინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 23 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**128** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოაღებისა და დამზადების მინისტრალ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მიტროფანე იონას ძე კუჭავა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრალ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მიტროფანე იონას ძე კუჭავა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრალ.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიანოვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 23 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**129** საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
გაუქმდეს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიანოვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 23 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**130** საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. დ. მ. მამულაძის გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
გათავისუფლდეს ამხ. დავით მიხეილის ძე მამულაძე საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს გაუქმების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიანოვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 23 მარტი.





საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
გაუქმდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმწმწმწმ.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

132 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან ახს. ბ. ა. იაკობაშვილის გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
გათავისუფლდეს ამხ. ბიძინა აბიათარის ძე იაკობაშვილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმწმწმწმ.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

133 სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საპროფიტისათვის მოქალაქეთა სარგებლოებაში მყოფი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საპროფიტისათვის მოქალაქეთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა, გარდა კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი საკარმიდამო ნაკვეთებისა, წარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და დაამტკიცოს ქალაქებში, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საპროფიტისათვის მიწის ნაკვეთების და მათზე არსებულ მოქალაქეთა პირადი საკუთრების ნაგებობების, ნარგავებისა და ნათესების ჩამორთმევისა და ღირებულების ანაზღაურების წესი.

3. პირები, რომლებიც მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ნებაყოფლობით არ გაათავისუფლებენ მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ფართობს იმ სახლებში, რომლებიც აღებულ უნდა იქნას, გამოსახლდებიან სამართლის წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულება „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკურობისათვის მოქალაქეთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის წესის შესახებ“ გარდა ამ ბრძანებულების მეშვიდე მუხლისა (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1961 წ. № 33, მუხ. 490).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 134 არასრულწლოვანთა საქმიანობის კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
დამტკიცდეს დებულება არასრულწლოვანთა საქმიანობის კომისიების შესახებ (თან ერთვის).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 27 მარტი.

**დ ბ უ ლ ბ ა**

**არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ**

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების ამოცანები და მათი ორგანიზაციის წესი

**მუხლი 1.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მთავარი ამოცანაა არასრულწლოვანთა უმეტესწილად უზრუნველყოფისა და მართლწესრიგის დარღვევის თავიდან აცილება, არასრულწლოვანთა უმეტესწილად უზრუნველყოფის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება, ბავშვთა და მოზარდთა მოწყობა და მათი უფლებათა დაცვა; აგრეთვე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებების საქმიანობაზე.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები იქმნება მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან.

**მუხლი 2.** არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ, საქალაქო ქ. თბილისის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომისიებს ქმნიან მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და მათ შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისი საბჭო მისი რწმუნების ვადით.

არასრულწლოვანთა საქმეების საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ რესპუბლიკურ კომისებს ქმნიან შესაბამისი მინისტრთა საბჭოები და მათ შემადგენლობას ამტკიცებს ამ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები მათი რწმუნების ვადით.

კომისიები მოქმედებენ კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და წევრების შემადგენლობით.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები მთელ თავიანთ საქმიანობაში პასუხს აგებენ და ანგარიშვალდებული არიან შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე.

**მუხლი 3.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები იქმნება საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობის საფუძველზე — საბჭოების დებუტატ-

ტების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დამფუძნებლებების მუშაკთა შემადგენლობით.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები მთელ თავიანთ მუშაობაში ეყრდნობიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებს, პროფკავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სკოლებთან არსებულ მშობელთა კომიტეტებს, საბავშვო სახლების და სკოლა-ინტერნატების მზრუნველთა საბჭოებს, ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს, სახლმმართველობებთან არსებულ ხელისშემწყობ კომისიებს, ქუჩების და სახლების კომიტეტებს. აგრეთვე სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებს.

კომისიები არასრულწლოვანთა შორის მუშაობისათვის თავისი შემადგენლობიდან, აგრეთვე კომისიების მუშაობაში ჩაბმული აქტივის რიცხვიდან, გამოყოფენ საზოგადოებრივ ინსპექტორებს.

კომისიები სისტემატურად აწვდიან ცნობებს თავიანთ მუშაობის შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მშრომელთა კოლექტივებს.

**მუხლი 4.** არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით აკლენენ ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებსაც ესაჭიროებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარება, აგრეთვე მოზარდებს, რომლებმაც სკოლა მიატოვეს და არ მუშაობენ, თაღებულობენ ზომებს მათი შრომითი მოწყობისათვის, ან მათ გასაგზავნათ სასწავლებლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში, აგრეთვე ღებულობენ სხვა ზომებს, რათა დახმარება გაეწიოთ მშობლებს ან მათ შემცველ პირებს ბავშვების აღზრდაში.

**მუხლი 5.** არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები ახორციელებენ მეთვალყურეობას არასრულწლოვანთა ყოთაქივიანზე მათი საბავშვო და მოზარდთა სპეციალური აღმზრდელობითი და სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან დაბრუნების შემდეგ, არასრულწლოვანთა შრომით კოლონიებში სასჯელის მოხდის შემდეგ, აგრეთვე არასრულწლოვანთა ყოფაქცევაზე, რომლებიც მსჯავრდებული არიან ისეთი სასჯელით, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, პირობით მსჯავრდებულებისა და სასჯელის მოხდისაგან ვადამდე გათავისუფლებულთა მიმართ.

კომისიები ღებულობენ ზომებს ამ მუხლში აღნიშნულ პირთა შრომითი მოწყობისა და სასწავლებელში გაგზავნისათვის.

კომისიებს უფლება აქვთ წარდგინებით შევიდნენ სასამართლოში: სასჯელის არ შეფარდების შესახებ; უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდების შესახებ; პირობით მსჯავრის დადების შესახებ; არასრულწლოვანთათვის ნასამართლობის ვადამდე მოხსნის შესახებ; არასრულწლოვანის სასჯელისაგან ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით

შეცვლის შესახებ იმ პირობების დაცვით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 55 და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375 მუხლებით.

საქართველოს  
სსრ-ის  
სისხლის  
სამართლის  
კოდექსი

**მუხლი 6.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი არასრულწლოვანთათვის დაწესებული მუშაობის რეჟიმისა და პირობების დაცვასა და მათთვის აუცილებელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ადმინისტრაციის მიერ.

ადმინისტრაციის ინიციატივით იმ პირთა დათხოვნა, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ, შეიძლება მოხდეს მხოლოდ დათხოვნის შესახებ საერთო წესების დაცვით და არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიასთან შეთანხმებით.

არასრულწლოვანის დათხოვნაზე თანხმობის მიცემის შემთხვევებში კომისია ლებულობს ზომებს მისი შრომითი მოწყობისათვის.

სასწავლებლიდან არასრულწლოვანის გარიცხვის საკითხი გადაწყდება ადმინისტრაციის მიერ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წარმომადგენლის მონაწილეობით, ხოლო სკოლიდან გარიცხვის საკითხი — ასევე, და სახალხო განათლების ორგანოების წარმომადგენლის მონაწილეობით.

**მუხლი 7.** არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები ახორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს მოცემული რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალური აღმზრდელობითი და სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებების, არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიების, მილიციის ბავშვთა ოთახებისა და ბავშვთა მიმღებ-გამნაწილებლების, საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და აგრეთვე სამეურნეო და მზრუნველთა ორგანოების საქმიანობისადმი.

**მუხლი 8.** ამ დებულების 7 მუხლით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს უფლება აქვთ:

ა) შეამოწმონ ყოველ დროს ბავშვთა და მოზარდთა მოვლისა და აღზრდის პირობები, სპეციალურ აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, არასრულწლოვანთა შრომით კოლონიებში, მილიციის ბავშვთა ოთახებში, ბავშვთა მისაღებებში საბავშვო სახლებში, სკოლა-ინტერნატებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, მოსთხოვონ ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციებს კომისიების მუშაობისათვის საჭირო ცნობები;

ბ) აწარმოონ აღნიშნულ დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვანთა პირადად მიღება, განიხილონ მათი საჩივრები და განცხადებები;

გ) მოისმინონ კომისიის სხდომებზე ამ დებულების 7 მუხლში ჩამოთვლილ დაწესებულებათა ადმინისტრაციების ინფორმაცია იმ საკითხებზე, რაც დაკავშირებულია ბავშვთა და მოზარდთა მოვლისა და აღზრდის პირობებთან.

დ) შეიტანონ მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განსახილველად საკითხები, რაც დაკავშირებულია ზემოჩამოთვლილ დაწესებულებების საქმიანობასთან, სამუშაოზე

მოსწავლელთა და სასწავლებლებში იმ არასრულწლოვანთა გაგზავნასთან, რომლებიც დაბრუნდნენ სპეციალურ აღმზრდილობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებიდან, ან არასრულწლოვანთა შრომით კოლონიებში, სასჯელის მოხდის შემდეგ, აგრეთვე იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც შეეფარდათ სასჯელის ზომა, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული და რომლებიც ვადამდე გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისაგან, და არასრულწლოვანებთან აღმზრდილობითი მუშაობის საკითხები.

ე) შეამოწმონ შეილაღ აყვანილის, მიურეგობაში და მზრუნველობაში მყოფ ბავშვთა და მოზარდთა მოვლისა და აღზრდის პირობები.

**მუხლი 9.** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს ევალუბათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი არასრულწლოვანთა უმეტადალყურებისა და მართლწესრიგის დარღვევის თავიდან ასაცილებლად, ბავშვთა და მოზარდთა მოსაწყობად. აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა.

#### საქმეები არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევის შესახებ, რომლებსაც განიხილავენ კომისიები

**მუხლი 10.** არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიებს ევალუბათ განიხილონ საქმეები:

1) იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა 14 წლის ასაკამდე.

2) იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომლებმაც 14-დან 16 წლამდე ასაკში ჩაიდინეს ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლით არ არის გათვალისწინებული.

3) იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომლებმაც 14-დან 18 წლამდე ასაკში ჩაიდინეს დანაშაული და რომელთა მიმართ სასამართლომ, პროკურორმა, აგრეთვე გამომძიებელმა პროკურორთან შეთანხმებით შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე ან უარი უთხრა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე და მასალები ან შეწყვეტილი საქმე წარმართა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაში.

4) იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს სხვა ანტისაზოგადოებრივი საქციელი (წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი სპეკულაცია და სხვ.).

კომისიებს უფლება აქვთ საქმეები იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომლებიც არიან მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები, სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები განსახილველად გადასცენ ამხანაგურ სამართლოს არასრულწლოვანთა მუშაობის ან სწავლის ადგილის მიხედვით.

თუ ამით შეიძლება მიღწეულ იქნას აღმზრდელობითი ზემოქმედება დამრღვევის მიმართ.

**მუხლი 11.** არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) მართლწესრიგის დამრღვევ არასრულწლოვანთა მიმართ შეუძლია გამოიყენოს შემოქმედების შემდეგი ზომები:

1) დაავალდებულოს საჭაროდ ან სხვა ფორმით მოუხადოს ბოდიში დაზარალებულს;

2) გამოუცხადოს საყვედური ან სასტიკი საყვედური;

3) მისცეს გაფრთხილება ერთ წლამდე გამოსაცდელი ვადის დაწესებით.

4) დააკისროს მიყენებული ზარალის ანაზღაურება იმ არასრულწლოვანს, რომელმაც 15 წლის ასაკს მიაღწია თუ მას აქვს დამოუკიდებელი გამომუშავება და ზარალის თანხა 20 მანეთს არ აღემატება ან დაავალდებულოს მიყენებული მატერიალური ზარალის თავისი შრომით გამოსწორება, თუ ზარალი 20 მანეთს არ აღემატება.

5) გადასცეს მასალები არასრულწლოვანის მიერ მართლწესრიგის დარღვევის შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სწავლის, მუშაობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსახილველად და საჭირო ზომების მისაღებად.

6) გადასცეს არასრულწლოვანი თავდებით მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს.

7) გადასცეს არასრულწლოვანი თავდებით ან სამეთვალყურეოდ მშრომელთა კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ან ცალკეულ მოქალაქეებს მათი შუამდგომლობით.

8) გაგზავნოს არასრულწლოვანი ბავშვებისა და მოზარდებისათვის სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელობით ან აღმზრდელობით დაწესებულებებში.

9) მოათავსოს თერთმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი ბავშვებისა და მოზარდებისათვის სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებში მძიმე საზოგადოებრივი ქმედობის და საზოგადოებრივი ქცევის წესების ბოროტად და სისტემატურად დარღვევის შემთხვევაში.

**მუხლი 12.** სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებში აღსაზრდელის ყოფნის ვადის საერთო ხანგრძლივობა ყველა შემთხვევაში არ შეიძლება აღემატებოდეს სამ წელს, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ აღსაზრდელის თხოვნით იგი შეიძლება დატოვებულ იქნას ამ დაწესებულებებში, თუ ეს აუცილებელია სასწავლებლის დამთავრებისათვის.

აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მისი ზელახალი აღზრდა, შრომითი კვალიფიკაციის მიღება ან სასწავლებლის დამთავრება, არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით შეუძლია გაუგრძელოს სრულწლოვანებას მიღწეულ აღსაზრდელს ამ დაწესებულებაში ყოფნის ვადა, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა.

ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა ყოფნა შეწყდება

აღნიშნულ დაწესებულების ადგილსამყოფელის რაიონული (საქალაქო კომისიის დადგენილებით, რის შესახებაც წინასწარ ეცნობება კომისიის არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს, პერიოდულად (წელიწადში არანაკლებ ერთისა) განიხილავს არასრულწლოვანთა საქმეების კომისია ამ დაწესებულებების ადგილსამყოფელის მიხედვით, როგორც თავისი ინიციატივით ისე ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციის წარდგინებით მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა შუამდგომლობით.

**მუხლი 13.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები შედიან წარდგინებით შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, იმ მშობელთა პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, რომლებიც არასწორად ეკიდებიან შვილების აღზრდას, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც ქმნიან პირობებს, რათა ბავშვებმა და მოზარდებმა დაარღვიონ მართლწესრიგი, აქეზებენ დანაშაულის ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქცევის ჩასადენად არასრულწლოვანებს.

**მუხლი 14.** არასრულწლოვანის მიერ მართლწესრიგის დარღვევასთან დაკავშირებით მშობლებისა და მათი შემცვლელი პირების მიმართ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას შეუძლია გამოიყენოს ზემოქმედების შემდეგი ზომები:

1) საზოგადოებრივი გაკიცხვა.

2) გადასცეს საქმე ამხანაგურ სასამართლოს.

3) დააკისროს არასრულწლოვანს მიყენებული ზარალის ანაზღაურება თუ მიყენებული ზარალი ოც მანეთს არ აღემატება.

4) დააკისროს ჯარიმა 20 მანეთამდე;

დაჯარიმებული პირებისაგან აღებული სახსრები ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში კანონით დადგენილი წესით.

კომისიებს უფლება აქვთ წარდგინებით შევიდნენ სასამართლოში მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ თუ დადგენილ იქნება ამ უფლებების ბოროტად გამოყენება ან ბავშვების აღზრდის მოვალეობისაგან ბოროტად თავის არიდება.

საბავშვო სახლებში, სკოლა-ინტერნატებში, ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა მოთავსებისას, კომისიებს შეუძლიათ დააკისრონ მშობლებს კანონით დადგენილი წესით სახსრების გადახდა ბავშვების შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად.





**მუხლი 15.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისია განიხილავს

1) რომლებიც მათ გადაეცათ განსახილველად სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ან მილიციის მიერ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად.

2) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სკოლებთან არსებული მშობელთა კომიტეტების, სახლმმართველობებთან არსებული ხელისშემწყობის კომისიებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგინებით.

3) სახალხო განათლების ორგანოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების წარდგინებით.

4) მოქალაქეთა განცხადებით.

5) საკუთარი ინიციატივით.

საქმის განხილვისას კომისია ვალდებულია გამოავლინოს ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევას, და მიიღოს ზომები მათ აღსაკვეთავად.

**მუხლი 16.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისია საქმეებს განიხილავს მათი შემოსვლის მომენტიდან 15 დღის ვადაში.

კომისიაში საქმის განხილვას საჭირო შემთხვევაში წინ უნდა უძღოდეს შემოწმება, რომელსაც მოახდენს კომისიის წევრი ან კომისიის დავალებით საზოგადოებრივი ინსპექტორი.

**მუხლი 17.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის უფლება აქვს გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები და ცნობები, აგრეთვე გამოიწვიოს თანამდებობის პირები და მოქალაქენი კომისიის მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებისათვის.

**მუხლი 18.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაში საქმის განხილვამდე კომისიის თავმჯდომარე ან წევრი, ვისაც ეს დავალებული აქვს, კომისიაზე გადაცემულ პირს ან მის კანონიერ წარმომადგენელს გააცნობს ყველა მასალას, ადგენს ვინ უნდა იქნას გამოძახებული კომისიის სხდომაზე, ნიშნავს საქმის განხილვის დროს და ადგილს.

**მუხლი 19.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი. კომისიის დადგენილება მიიღება სხდომაზე მონაწილე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

**მუხლი 20.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის სხდომაზე სავალდებულოა იმ პირის დასწრება, რომლის საქმეც ირჩევა, აგრეთვე მშობლების ან მათი შემცვლელი პირებისა, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში აღმზრდელობითი დაწესებულებების წარმომადგენლების დასწრება.

**მუხლი 21.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისია განიხილავს საქმეზე შეკრებულ მასალებს, მოისმენს კომისიაზე გადაცემულის განმარტებას და საქ-

მის ყველა გარემოების ყოველმხრივ განხილვის შემდეგ მიიღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

1) გამოყენებულ იქნას ამ დებულების 11 მუხლით გათვალისწინებული მოქმედების ერთ-ერთი ზომა.

2) შეწყდეს საქმე.

3) გადადებს საქმის განხილვას და ჩაატარებს დამატებით შემოწმებას.

4) გადასცემს საქმეს პროკურატურის ორგანოებს.

კომისია საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების გამოტანისას ხელმძღვანელობს თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით, მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით.

**მუხლი 22.** კომისიის სხდომაზე შედგება ოქმი, მართლწესრიგის დამრღვევის განმარტების, დაზარალებულის და მოწმეთა ჩვენების, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკლე ჩანაწერით.

ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 23.** კომისიის დადგენილება ფორმდება წერილობით და უნდა იქნას მოტივირებული. დადგენილებაში შემოქმედების ზომის შეფარდების შესახებ აღინიშნება დარღვევის არსი, დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც საფუძვლად დაედო დადგენილების გამოტანას და კომისიის მიერ განსაზღვრული შემოქმედების ზომა, მისი შეფარდების მოტივების აღნიშვნით.

კომისიის გადაწყვეტილებას ხელს აწერენ თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის წევრები, რომლებიც საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ და აქვეყნებს თავმჯდომარე მისი მიღებისთანავე.

კომისიის მიერ მიღებული დადგენილება ეცნობება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მართლწესრიგის დამრღვევ არასრულწლოვანთა სწავლის, მუშაობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე მშობლების ან მათი შემცველი პირების მუშაობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**მუხლი 24.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილება იმ საკითხებზე, რაც მის კომპეტენციაში შედის სავალდებულოა ყველა დაწესებულებისათვის, საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

კომისიის დადგენილება ფულადი გადასახდელების შესახებ აღსრულებულ უნდა იქნას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 25.** არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას 10 დღის ვადაში მისი მიღების დღიდან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც ვალდებულია საჩივარი განიხილოს შვიდი დღის ვადაში. აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება საჩივრის გამო საბოლოოა.

**მუხლი 26.** არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიების ტექნიკური მომსახურება ეკისრებათ შესაბამის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

**135** ლაგოდების რაიონის ცენტრის დაბა ლაგოდების რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და სოფლების ლოვანისა და კალინოვკის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება და გარდაიქმნას ლაგოდების რაიონის ცენტრი დაბა ლაგოდები რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ლაგოდების სადაბო საბჭო — ლაგოდების საქალაქო საბჭოდ.

გაუქმდეს ლაგოდების რაიონის სოფლები ვაშლოვანი და კალინოვკა ქალაქ ლაგოდებთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიანოვი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**136** „ქალაქებსა და დაბავში მცხოვრებ მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირადი საკუთრების პირუტყვისა და ფუტკრის ოჯახის ზღვრული ოდენობის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 18 იანვრის ბრძანებულების შეფარდების წესის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაწესდეს, რომ მოქალაქეებს, რომლებიც დაარღვევენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 18 იანვრის ბრძანებულებით დადგენილ მოთხოვნას პირუტყვისა და ფუტკრის ოჯახის ნორმის შესახებ, ზედმეტი პირუტყვი და ფუტკრის ოჯახი ჩამოერთვათ მშრომელთა დეპუტატების სათანადო ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, სახელმწიფო შესყიდვის ფასებში 50 პროცენტის ანაზღაურებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიანოვი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 27 მარტი.

ბანოყფილება მიორა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**137** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმომკმადი სიმფონიური ორკესტრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ათი წლის ნაყოფიერ სამემსრულებლო მოღვაწეობასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმომკმადი სიმფონიური

ნიუორი ორკესტრი დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიანოვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 27 მარტი.

ბრძანებულებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**138** ამხ. ი. დ. ართმელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, მრეწველობასა და საბჭოთა ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი ამხ. ილია დავითის ძე ართმელაძე დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიანოვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 27 მარტი.

**ბანყოფილება მესამე**

**საინფორმაციო ცნობა**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 27 მარტის ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 935 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	. . . . .	38
ქ. გორიდან	. . . . .	2
ქ. რუსთავიდან	. . . . .	13
ქ. კიათურიდან	. . . . .	101
ახალქალაქის რაიონიდან	. . . . .	97
ახალციხის	„ . . . . .	41
გორის	„ . . . . .	8
გურჯაანის	„ . . . . .	3
დმანისის	„ . . . . .	56
ზესტაფონის	„ . . . . .	11
ზუგდიდის	„ . . . . .	35

თეთრიწყაროს	რაიონიდან	15
თელავის	„	6
კასპის	„	15
ლანჩხუთის	„	6
მაიაკოვსკის	„	15
მარნეულის	„	101
მცხეთის	„	7
საგარეჯოს	„	80
საჩხერის	„	25
ყვარლის	„	10
ჩონატაურის	„	17
ჩხოროწყუს	„	104
ცაგერის	„	8
ცხაკაიას	„	15
წაღკის	„	32
სამხრეთ ოსეთის ა/ო	„	74